ყოველდღე სჩადის უკრაინაში. ანუ, ამ აფ-
ეთქებით რუსეთის ტერორისტობას არც არ-
აფერი აკლდება და ემატება.

– რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების დღი-
დან საქართველოს პოლიტიკური ოპოზიცი-
ა ცდილობს ამ კონფლიქტთან საქართველოს
დაკავშირებას. ძალიან ბევრი წინაპირობა იყო
ომში საქართველოს ჩართულობის, თუმცა
ვერ გავიქვეყნებთ იმ რეალობას, რომ ჩვენც რა-
ღაცა დროით ჩართული ვართ რუსეთ-უკრა-
ინის ომში. ის, რომ ახლა რუსეთი ოფიციალ-
ურად ამბობს, რომ ტერაქტი მონაწილეობ-
დნენ ქართველები, ეს გაძლიერებ მოლოდინს,
რომ ამას შეიძლება კონტროლისძიება მოჰ
ყვეს საქართველოს წინააღმდეგ?

– არა მგონია. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი
ქვეყანა ჩართო რუსეთმა ამ საქმეში და მათ
შორის მულგარეთი, რომელსაც ვერ აწყე-
ნინებ. მე მაინც მგონია, რომ ეს სახელი და
გვარები, მათ შორის ქვეყნების ჩამონათვა-
ლი, მაინც სიტყვის მასალაა, ვიდრე კონკრე-
ტული გეგმა და მომზადება რაღაცა ნაბიჯების.
მეფიქვება, რომ ამ ფონზე, რა მდგომარეობაც
ახლა აქვს რუსეთს უკრაინის ფრონტზე, სადაც
არ ყოფნის ჯარისკაცები და შეიარაღება, ახ-
ალი ფრონტი გახსნას საქართველოს მიმარ-
თულებით. ვხედავთ, რომ ცდილობს რაღაცა
დონეზე დააკონსერვოს უკრაინის ომი. სულ
პედალირებას აკეთებს იმაზე, რომ საჭიროა
მოლაპარაკება. ომის პროცესში მოლაპარა-
კება არის კონფლიქტის დაკონსერვება. თუ
უკრაინის ომს დააკონსერვებს, მერე შეიძ-
ლება იფიქროს სხვა მიმართულებებზე. უკრა-
ინის მიმართულება იმდენად მძიმეა მისთვის,
რომ შეეცალოს რუსეთს ახალი ავრესის გეგმა
შექონდეს.

თამაზ ძარჩავა

რუსებს ირანელი ინსტრუქტორები შემარკებინან

ონანმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყი-
რიმში სამხედრო ინსტრუქტორები გაგზავნა,
რათა მათ რუს სამხედროებს თეირანისგან ნა-
ცილი დროების მართვა ასწავლონ. ირანელი
ინსტრუქტორები წარმოადგენენ ისლამური
რევოლუციის გუშაგთა კორპუსს, რომელიც
აშშ-მა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა.

რუსი ოპერატორების შეცდომების გა-
მო უკრაინასთან ომში ირანული დროენ-
ების გამოყენება არაფეთქებული აღმოჩნდა.
NYT-ის წყაროები აცხადებენ, რომ მექა-
ნიკური პრობლემების გამო რუსული მხა-
რე დროენებს იმეიათად იყენებდა. პირველ
ეტაპზე რუსეთმა თავისი პერსონალი ირ-
ანში, დროენების მართვის სასწავლებლად
გაგზავნა, თუმცა როდესაც პრობლემები არ
აღმოიფხვრა, ირანმა გადაწყვიტა, საკუთარი
ინსტრუქტორები ყირიმში გაგზავნოს.

ოფიციალური თეირანი უარყოფს გავ-
რცელებულ ინფორმაციას, რომ ირანი რუ-
სეთისთვის დროენებისა და რაკეტების მი-
წოდებას აპირებს.

„ირანი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა
(უკრაინის) ომის გაგრძელებას“, – განაცხა-
და ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს
სპიკერი, ნასრუქ ქანაანი და დასძინა, რომ
ირანი მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს
უკრაინასთან ამ ბრალდებების გასარკვე-
ვად. დასავლელმა ოფიციალურმა პირმა
Reuter-ს დაუდასტურა აღნიშნული ინფორ-
მაცია და განაცხადა, რომ რაკეტების მი-
წოდების საკითხზე ირანსა და რუსეთს შორის
შეთანხმება არსებობს.

რუსულ ელიტას უკრაინასთან ომი არ სურს...

რუსულ ელიტაში 10-იდან 9 კატეგო-
რიულად ეწინააღმდეგება უკრაინის ომს.
პუტინის ახლო წრეშიც კი არიან ადამი-
ანები, რომლებსაც ეს ყველაფერი არ მოს-
წონთ, – ამის შესახებ რუსეთის ფედერა-
ციის სახელმწიფო დუმის ყოფილმა დეპუ-
ტატმა დიმიტრი გუდკოვმა განაცხადა. მისი
თქმით, რუსულ ელიტაშიც და საზოგადო-
ებაშიც პუტინის მედვედევით შეცვლას ელ-
ოდნენ. გარდა ამისა, პოლიტიკოსი დაწ-
მუნებულია, რომ მედვედევი მეორე ვა-
ლით რომ მოსულიყო, ეს არ მოხდებოდა.

„ჩვენ სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებდით, მაგ-
რამ მათ მოატყუეს ყველა და ადგილი შეცვ-
ლეს. ამ 20 წლის განმავლობაში, არ ვიცი,
რამდენი მილიონი ადამიანი დარჩა, ვინც თავ-
დაპირველად დაინახა, სად მიდებდა ეს ყვე-
ლაფერი. მოლოდინის მოლოდინზე ასობით
ათასი ადამიანი მოვიდა, იყო მასობრივი მი-
ტინგები, მაგრამ ელიტა არ გაიყო, უშიშრო-
ების ძალები ლოიალურები იყვნენ – პუტინმა
მათ ფული გადაუხადა, ყველა დაარწმუნა.“

ყველა გამოდევნეს ძალაუფლებიდან.
2016 წელს ხელახლა არჩევის უფლება არ
მოხდა, თუმცა არჩევნებში გაიმარჯვეს. შარ-
შან საერთოდ არ შეიძვეს და ციხეში ჩაასვეს,
მაშინდელი მძევლად აიყვანეს და მაიძლეეს,
წავსულაყეს. ჩვენ არ გვყავს ოლიგარქები.
ოლიგარქებს აქვთ პოლიტიკური გავლენა,
მაგრამ ჩვენ არ გვყავს პოლიტიკური გავლენ-
ის მქონე ერთი მიზნისმენი. ჩვენ გვყავს პუ-
ტინი და არის მისი მანდა, რომელმაც ქვეყ-
ნაში ძალაუფლება მოიპოვა. ისინი ყველა-
ფერს წყვეტენ.

24 თებერვლის შემდეგ ბევრმა ჩინოვ-
ნიკმა უბრალოდ დატოვა ქვეყანა. ვფიქ-
რობ, რომ პუტინის ახლო წრეშიც კი არიან
ადამიანები, რომლებსაც ეს ყველაფერი
არ მოსწონთ“, – აცხადებს დიმიტრი გუდ-
კოვი.

გუდკოვის თქმით, პუტინი ჯერ კიდევ
მკაცრად მართავს უშიშროების ძალებს,
რათა მის წინააღმდეგ რაიმე სახის შეთ-
ქმულება არ მოხდეს. თუმცა, გუდკოვის
თქმით, სამხედრო დამარცხების შემდეგ
შეიძლება რაიმე სახის განხეთქილება მოხ-
დეს, როდესაც პუტინი რეალურად დაკარ-
გავს თავის რეიტინგს, მოქალაქეების მხარ-
დაჭერას და ზოგიერთი უსაფრთხოების ძა-
ლების მხარდაჭერას.

სამსო ურთიერთობანი

სუყოველი მდღერისთვის, ვისაც წეს-ჩვეულება და სინჯილი უკრძალავს სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებას, რელიგია, თითქოსდა ერთიკული მოთხოვნის სულიერი გახლეჩა, ხდება რაღაც შეუცვლელი.

„მშუპი მდღერი, უკეთუ კეთილი გული აქვს, გენიოსზე მაღლა დგას“, – ფრიალ თავაზიანად ხმინებს, თუ რომ ამას გენიოსი ამტკიცებს. ეს გამონათქვამი იმის თავაზიანობაზე მეტყველებს, ოღონდ იმისავე საზრიანობა და გონებაშახვილობა.

უკეთუ მდღერი თავს ესხმის მამრს, ის ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, რათა თავი დაიცვას მეორე მდღერისგან. უკეთუ მამრი ემეგობრება მდღერს, მდღერს ჰგონია, თითქოს ის აგრე იმიტომ იქცევა, რაკი მეთის თავი არა აქვს.

ჩვენი საუკუნეს ძალუძს, რომ მიაწეროს გემოვნება დიდ გონიერს, უმწიფარს, ჭკუანაკლებს, მორჩილ გულუბრყვილო დიაცს – ფაუსტის გრეთჰენის გემოვნება; ეს კი მოწმობაა თვით ასწლეულისა და იმის უგონიერეს მამრთა გემოვნების წინააღმდეგ.

მდღერმა დიდ უმრავლესობას, როგორც რომ მედიუმური ბუნების მქონეთ, ინტელექტი გამოუვლინებდათ მხოლოდ ერთბაშად, მიძგებით, თანაც კიდევ განუჭვრეტელი ძალით: მაშინ იმათ სული დასტორიალებს თავზე და არა იმათგან გამოსული, როგორც რომ ერთი შეხედვით ჩანს, სწორედ ამას გვეუბნება იმათი სამთვალისანი საზრიანობა არეულ-დარეულ საქმეებში. ამასვე ეფუძნება იმათი ზემთაგონების რწმენა.

ლიპსნი და გენიოსები არ შრომობენ. დიაცი სუყოველ დროებში კაცობრიობის უდიდესი ფუფუნება იყო სუყოველ ჯერზე, როს ადამიანი ყველაფერს იქმს, რის თავიც აქვს, ის არ მუშაობს. შრომა მხოლოდ საშუალებაა, რასაც ამ წამებამდე მივყავართ.

ლაქლაქსა და იმავდროულად გულშემატკივარ მდღერს ძალუძს ავადმყოფობის სარეცლის ბაზრის მოედანზე გატანა.

მითარ წარმოქმნება მამრის მოულოდნელი, ღრმა, გულწრფელი ვნება მდღერის მიმართ? ვნება თითქმის არ ჩნდება მართოდენ მგონობელობით; ოღონდ როს მამრი ხედავს სისუსტეს, სიძლიერის საჭიროებას, შეერთებულნი რომ არიან სიამაყესთან ერთსა და იმავე არსებაში, მაშინ სული თითქოსდა მზად არის მასში ასადალებლად: ის ხელუხლებელია, და იმავ დროს შეურაცხყოფილია. სწორედ აქ არის დიდი სიყვარულის წყარო.

მდღერის სულიერი ძალა ყოვლის უკეთესად გამოვლინდება იმ დროს, ოდეს ის მამრის მიმართ სიყვარულისა გამო მსხვერპლად მიაქვს იმისთვის და იმისი გენისთვის თავისი გონება, მიუხედავად იმისა, რომ ახალ, თავდაპირველად მისთვის უცხო დარგში, სადაც ზიდავს მას მამრის აზროვნების ხერხი, ეგრევე „ვზრდება“ იმას მეორე გონება.

მამრმა ქარიშხალს მამრი ხანისად ამ სიმაღლეზე აჰყავს, სადაც ვნება დუმდება, სადაც ის ნამდვილად შეყვარებულია და უფროვე საუკეთესო არსებად ცოცხლობს, ვინემ საუკეთესო ნება-სრული. თავის მხრივ კარგი მდღერი, პირობით, ჭეშმარიტი სიყვარულისა გამო ვნებამდე ეშვება და თავს იმყრებს. ეს უკანასკნელი ყოვლის უფროვე ამაღლელებელია, თუ კარგ ქორწინებას წარმოვიდგენთ.

მდღერში ბუნება ავლენს იმის მაჩვენებელს, თუ რა სიმაღლეს მიაღწია მან ადამიანური იერსახის სრულყოფილების საქმეში; მამრში კი ვლინდება ის წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვაც მას მოუხდა.

მდღერის განათლებულობის საზომის მაგივრობას ხანისად ის ეწევა, როგორ და სად იცინის იგი: იმის სიცილში აირეკლება სუყოველი იმისი შინაარსი, ხოლო ძალიან განათლებული მდღერთა სიცილში – იმათი ბუნების დაუნაწევრებელი ნარჩენი.

იმისთვის, რათა ულამაზესი იყოს, მდღერმა აუცილებლად უარი უნდა თქვას ლამაზად გამოჩენის სწრაფვაზე, ანუ 99 შემთხვევაში, სადაც ის შეიძლება მოსწონებოდეთ, მან უნდა უგულვებლყოს ეს, მოვეწროთ, ამ აზრს უნდა დაეუაროს, რათა ადაფრთოვანოს ადამიანი, რომლის სულის კარი საკმაისად ღიაა დიად რისავე მისაღებად.

უკეთუ შემოქმედს ანდა მდღერს არცვინ სიტყვას არ უტრიალებს, იმათ ჰგონიათ, არცრა გასატრიალებელი არ არისო. პატივისცემის ათ უნეტად გაერთიანება და დუმილიანი არ-

მოწონების სხვა უნეტად გაერთიანება იმათ შეუძლებლად მიაჩნიათ, ისინი თავად არიან ცარიელი ლიტონი სულელები.

მდღერნი ისე არიან შექმნილი, რომ ეზიზღებათ ყველაგვარი სიმართლე (მამრთა, სიყვარულის, ბავშვის, საზოგადოების ანდა ცხოველების შესახებ). ის კი არა, ისინი ცდილობენ, რომ შური იძიონ იმათზე, ვინც იმათთვის თვალის ახელას ცდილობს.

არასრულქმნილი მდღერი, ეპოქისგან დამოუკიდებლად, არის ქვეყნიერების შემოქმედის მოცალეობა შესაქმის სუყოველ მეშვიდე დღეს, შემოქმედის დასვენება თავისი მუშაობის უამს.

მამრი ყოველსავე ახლად შესწავლილსა რასმე თუ განცდილს იყენებს ვითარცა ერეკანს ანდა იარაღს, მდღერნი კი იყენებს ვითარცა სამკაულს.

უკეთუ ვალიანებთ, რომ მდღერი მართალია, მაშინ ის უარს ვერ იტყვის დამარცხებულის კისერზე ფეხის დაღ-

„ძალიან თავსეულმარტო ადამიანისთვის ჩამის უეიძლება რომ ნუბეზად იქცეოს“,

– აგუ იყოფა თხიერის ნიჭუ ქართულად გადმოანა ბურამ ბობიაშვილმა



გმით გამოწვეულ კმაყოფილებაზე, რაკი მიაჩნია, რომ გამარჯვების გამოყენების უფლება აქვს, მამრს კი ესეგვარ შემთხვევაში ერცხვივება სხვა მამრის მიმართ თავისი სიმაართისა. სამაგიეროდ მამრი მიჩვეულია გამარჯვებებს, მდღერისთვის კი ის გამონაკლისია.

არსებობენ სულით ღარიბი კეთილშობილი მდღერნი, რომლებიც ლამობენ რა ალალი ერთგულების გამოხატვას, მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის სხვა საშუალების პოვნის თავი არა აქვთ, თუ არ გაიღეს თავიანთი პატიოსნება და კდება – ორივე უმაღლესი რამ, რაიც გააჩნიათ. და ხშირადრე ამ საჩუქართ იღებენ ისე, რომ სულაც არცვის ვალდებულს არა ხდის იმისთვის, რასაც ვარაუდობენ საჩუქრის გამცემნი – ძალზე ნაღვლიანი ამბავია.

მდღერმა უმრავლესობას შეუძლია, რომ ძალზე ფაქიზად გააზვიადონ თავიანთი სისუსტენი: ის კი არა, იგონებენ კიდევ სისუსტეებს, რათა სრულიად მყიფე არსებებად გამოიყურებოდნენ, რომელთაც მტერის ნამცეცის მძიმე ტვირთად აწევთ. თვით იმათი არსებობა უნდა ემსახურებოდეს მამრს საყვედურად და შესხენებად, რომ ის გაუთელი და ხეპრე ვინმეა. აგრერივად იცავენ ისინი თავს ძლიერთა და „მუშტის ძალაუფლების“ წინააღმდეგ.

ხმაღნი სულ სხვაგვარად ფიქრობენ ძუთა შესახებ, ვიდრე მამრნი მდღერთა შესახებ: ხვადთათვის ძუ ფასობს ვითარცა ნაყოფიერი არსება. ხვად ცხოველთ არა აქვთ ლევეების მიმართ მამობრივი სიყვარული, ოღონდ სიყვარულის მაგვარი რამ ახასიათებთ. თავიანთ შეყვარებულის მიმართ, ეჩვევიან, ეთვისებიან იმათ. ძუნი კი ლევევანგან იღებენ კმაყოფილებას თავიანთი ძალაუფლების, ერთგვარი საკუთრების, ერთგვარი საქმიანობისა გამო... ყოველივე ეს ერთად კი შეადგენს დედობრივ სიყვარულს, რომელი სიყვარულიც შეიძლება რომ შევადაროთ მხატვრის სიყვარულს თავისი ქმნილების მიმართ.

ორსულობამ მდღერნი გახადა ბევრად უფროვე მსუბუქნი, ბევრად უფროვე მომთმენნი, უფროვე მფრთხილნი, უფროვე თვინიერნი; ამგვარად სულიერ ორსულობასაც ძალუძს გერვილიანი ბუნების მქონე ადამიანის ჩამოყალიბება, რომელი ბუნებაც ენათესავება მდღერულ ხასიათს; ცხოველთათვის უმშვენიერესი რამ არის მამალი ხვადი.

ისინი, უკეთუ იმ ადამიანთან ერთად არიან, ვინც უყვართ, ხდებიან მშვიდნი, დარწმუნებულნი და ძალზე ბევრს ლაპარაკობენ, მამრნი კი ხშირადრე „კენკავენ“ რამდენადმე იღუმალ და ფლეგმატურ სინაზეს.

„პატარა მამრი პარადოქსია, მაგრამ მაინც მამრია, პატარა ქალი კი, მაღალ მდღერთაგან განსხვავებით მიეკუთვნებიან რომელიღაც სხვა სქესს“, – თქვა ერთმა ძველმა ტანცმეისტერმა „პატარა ქალი მიწყვი ულამაზოა, თქვა ბებერმა არისტოტელმა.

მეგობრობა

პარტი მეგობრობა წარმოიშობა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როს ადამიანი სხვას უფროვე მეტად აფასებს, ვინემ თავის თავს, როს იმას, თვინიერ ამისა, ძლიერად უყვარს იგი, თუმცა არა ისე ძლიერ, ვითარცა თავისი თავი, და როს, ბოლოს და ბოლოს, ურთიერთობის შესამსუბუქებლად შესძინოს ყოველსავე ამას ინტიმურობის ელფერი ან ნაფიფქი რამ, ამასთანავე კეთილგონიერულად თავი შეიკავოს ნამდვილი ინტიმურობისგან ანდა თავისი თავის შერევა იმასთან.

სულთა ნათესაობისა და ერთიანობის ცნობა შესაძლებელია არა იმათი შერწყმით, არამედ იმით, თუ რარივ გაითიშებიან.

არ არის საჭირო ლაპარაკი შენს მეგობრებზე, რამეთუ ლაპარაკით შეიძლება მეგობრული განწყობილების გრძობის შეშინება.

ხშირადრე საიღუმლოს რასმე ვანდობთ ხოლმე ახალ ნაცნობთ იმის სულელური ვარაუდით, რომ ჩვენი ნდობის დადასტურება საუკეთესო კავშირი იქნება, რის საშუალებითაც განვამტკიცებთ ახალ მეგობრობას.

როს ძველი მეგობრები კვლავ ხვდებიან, ხშირადრე თავს იკატუნებენ, ვითომ აგულისყურებთ ის ნივთები თუ საგნები, რომელთა მიმართაც დიდი ხნის გულგრილნი არიან; ხანისად ორიენი ამჩნევენ ამას, მაგრამ სევედის მომგვრელი ეჭვისა გამო შიშობენ თვალთმაქცობისთვის საბურველის ჩამოხსნას. აგრე და ამრიგად, ლაპარაკი იწყება, თითქოსდა სიკვდილის საშიფოლან.

ძველიმძველად მეგობრობის გრძობა ფრიალ ზნეობრივ გრძობად მიაჩნდათ, თვით თვითკმაყოფილთა და ბრძენთა განთქმულ სიამაყებედ მეტად, ის კი, რა თითქოსდა ერთადერთ და უფროვე წმინდა იმის სისხლად და ხორცად.

ეს ძალზე კარგად არის გამოხატული მოთხრობაში მკვედონელ მეფეზე, რომელმაც შესძენა ერთ ათენელ მშვიდობისმოძულე ფილოსოფოსს ტალანტი და უკანვე მიიღო თავისი საჩუქარი.

უკეთუ ადამიანი ძალიან შეიცვალა, მაშინ იმას არ შეეცვლილი მეგობრები იმისი საკუთარი წარსულის მოჩვენებებში ხდებიან: იმათი ხმა გაისმის მრისხანედ, ვითარცა აჩრდილთა ხმა, და ადამიანს თითქოსდა იმ დროის თავისივე ხმა ესმის, ოდეს ის უფროვე დღემოჭმული იყო, ოღონდ ნაკლებად რბილი ბუნებისა და არც ისე მოწიფული.

სულა, უსაქმური თუ საქმეგამოლეული ვაცი საშიშია მეგობრებისთვის იმიტომ, ერთ ადგილას მახათის ყრით დაღლილი, იწყებს ყბედობას, რას აკუთმენ და რას არ აკუთმენ თავისი მეგობრები. ცხვირს ყოფს იმათ საქმეებში და თანაც კიდევ მძიმე ტვირთად აწევს; ამიტომ ბევრად გონიერულია მეგობრობის გაგმა შრომისმოყვარე ადამიანებთან.

ზომნი უხამსად ექცვიან მეგობრებს გარეშე პირთა თანდასწრებით, რომელთათვისაც თავიანთი უპირატესობის ჩვენება უნდათ; ზოგთ კი თავიანთი მტრებისთვისებათა გაზვიადება უყვართ იმ მიზნით, რათა მერმე სიამაყით წარმოიჩინონ თავი, ვითომ ღირსეული მოწინააღმდეგენი არიან.

სიყვარული

სიმყვა „სიყვარული“ შეიცავს იმდენ მრავალმნიშვნელობას, აღმგზნებელს, მოგონებათა გამომწვევს რასმე და იმედს, რომ ყოვლის უფროისად ლატაკი ინტელიგენტი და ყოვლის უფროისად ცივი გული გრძობენ ამ სიტყვის მიმზიდველობას.

სიმომხლის ტრფიალი უნდა გვესმოდეს ვითარცა დღევანდელობის სიყვარულის მოწინააღმდეგე რამ: სუყოველი სიყვარული ჰგონებს წამიერს და მარადიულს, და არცროდის – დღევანდელობას.

გმარანსტში ვეროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა მოეწყო, რომელსაც საქართველო და რუმინეთი უმასპინძლებენ. პარალელურად ტურნირის კალენდარიც გაიხსნა, შესაბამისად, უკვე ცნობილია, რომელ ქალაქში ჯგუფური ეტაპის რომელი მატჩი გაიმართება.

საქართველო A და C ჯგუფის მატჩებს მიიღებს, კერძოდ, თბილისი („დინამო არენა“ და „მიხეილ მესხი“), ქუთაისი და ბათუმი:

- თბილისი, „დინამო არენა“ (A ჯგუფი)**
- 21 ივნისი: საქართველო – პორტუგალია
 - 24 ივნისი: საქართველო – ბელგია,
 - 27 ივნისი: ნიდერლანდები – საქართველო.
- თბილისი, „მიხეილ მესხი“ (A ჯგუფი)**
- 21 ივნისი: ბელგია – ნიდერლანდები,
 - 24 ივნისი: პორტუგალია – ნიდერლანდები,
 - 27 ივნისი: პორტუგალია – ბელგია.
- ქუთაისი, რამაზ შენგელია (C ჯგუფი)**
- 22 ივნისი: გერმანია – ისრაელი,
 - 25 ივნისი: ინგლისი – ისრაელი,
 - 28 ივნისი: ისრაელი – ჩეხეთი.
- ბათუმი, „აბაშაშვილი არენა“ (C ჯგუფი)**
- 22 ივნისი: ჩეხეთი – ინგლისი,
 - 25 ივნისი: ჩეხეთი – გერმანია,
 - 28 ივნისი: ინგლისი – გერმანია.

გარდა ამისა, ბათუმში გაიმართება ერთი ნახევარფინალური მატჩი და ფინალი, ქუთაისში ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა შედგება, ხოლო თბილისში, „მიხეილ მესხზე“ კიდევ ერთი მეოთხედფინალური თამაში დაგეგმილი. ცნობისთვის, „დინამო არენაზე“ მხოლოდ ჯგუფური ეტაპის მატჩები ჩანიშნული.

სამწინააღმდეგო, მომავალი ფორუმისა და ვერო – 2024-ის შესარჩევი ტურნირის შეხვედრები ვადებში ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ უშუალოდ იმ პერიოდში ვადაწყდება, რომელ გუნდში ითამაშებენ კვანაცხელია, მამარდაშვილი, ჩიტაიშვილი და სხვა ლიდერები.

შეგახსენებთ, რომ ვეროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით გაიმართება, საქართველოს 21-წლამდე ნაკრები კი ტურნირის დებიუტანტია. ახალგაზრდული ვეროპის ჩემპიონატის 3 საუკეთესო გუნდი პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის საგზურს

ნილისკას, კალენდარის



მოიპოვებს. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სენაძემ ვეროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის წილისყრა შეაფასა, რომლის მიხედვით საქართველოს თამაში ნიდერლანდების, ბელგიისა და პორტუგალიის 21-წლამდელთა ნაკრებებთან მოუწევს.

სენაძის გარდა კომენტარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა გააკეთეს:

ლევან კობიაშვილი (სფფ-ის პრეზიდენტი): „ჩვენი ქვეყნისთვის მსგავსი მასშტაბის ღონისძიების მასშტაბით ნამდვილად განსაკუთრებულია. ცხადია, ის, რომ ვეროპის ერთ-ერთი პრესტიჟული სანაკრებო ღონისძიება საქართველოში იმართება, უდიდესი ნდობის გამოხატულებაა ჩვენს მიმართ. ჩემპიონატისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობს, როგორც საორგანიზაციო კუთხით, ისე ინ-

ფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები წარმატებით ემზადება მოახლოებული ჩემპიონატისთვის. გუნდს აქვს სურვილი და ვფიქრობ რესურსიც, რომ წარმატებით ითამაშოს ვეროპის ჩემპიონატზე, მითუმეტეს საკუთარ ქვეყანაში. ჩვენი ახალგაზრდები საკმაოდ წარმატებით თამაშობენ სხვადასხვა ვეროპულ ლიგაში და ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ფეხბურთისადმი გულშემატკივრებში. გარდა ამისა, ამ ვეროპის ჩემპიონატის ფარგლებში საქართველოში უამრავ ახალგაზრდა ვარსკვლავს ველოდებით, ამჯერად უკვე სხვა ვეროპული ნაკრებებიდანაც. ასევე, ქვეყნის მასშტაბით იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა და ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის პოპულარიზაციასა და გონათა და მიჭების ჩართულობას ჩვენთვის ყველასთვის საყვარელ სპორტის სახეობაში“.

ალექსანდრე იაშვილი (ტურნირის ელჩი): „ველოცავე ჩემპიონატის ყველა მონაწილე ნაკრებს ფინალურ ეტაპზე გასვლას. განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, საქართველოს გამოცდით, რომელიც დებიუტანტი იქნება ვერო – 2023-ზე. ჩვენს ქვეყანაში დიდი მოლოდინია. გულშემატკივრები ელოდებიან ვეროპული ფეხბურთის ამჟამინდელ და მომავალ ვარსკვლავებს. მიხარია, რომ მომავალი წლის ზაფხულში ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე ნამდვილი საფეხბურთო გარემო შეიქმნება. ახალგაზრდები უდიდეს გამოცდილებას მიიღებენ, რაც დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში. მიხარია, რომ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა. ბელგია, პორტუგალია და ნიდერლანდები წამყვანი ნაკრებები არიან და ვფიქრობ, რომ ჩვენი მსურველებისთვის საინტერესო თამაშები იქნება. ჩვენი მიზანია წარმატებას მივადრწოდოთ და სიახლოვე და სიხარული მოგვტანოთ ჩვენს გულშემატკივრებს“.

რამაზ სენაძე (საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ძლიერი, მაგრამ ამავე დროს ძალიან საინტერესო ჯგუფია. მოგვიწევს დაპირისპირება ტოპ ნაკრებებთან. ამ ასაკში, ტრადიციულად, ყველა გუნდი გამოირჩეულია. ეს იქნება ძალიან დიდი გამოცდილება და დიდი ზეიმი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, მთლიანად ჩვენი გუნდისთვის. ყველაფერს გვაჯვრებთ იმისთვის, რომ არ გავუშვათ ეს შანსი ხელიდან, წარმატებით ვიასპარავოთ უპირველესად ჯგუფურ ეტაპზე და შემდეგ უკვე მთლიანად ვეროპის ჩემპიონატზე“.

დღოვა

ქართულთა ევრო-ბანკი



ქართული ფიზიკური მსახურისა და კომისიის აქტიურად ჩაება ამ ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ტურნირებში. ოქტომბრის მთავარი ნაწილის დანიშნულება თითოეულ მათგანს 2-2 მატჩზე მოუწევს მონაწილეობა, ერთადერთი ქართველი ფიზიკური კომისარი **მერაბ რატიშვილი** ფიზიკური კომისარი თანაგრძობის ქალაქ კვარ ბლუმში 3-პოელისა და გერმანული მამგრევის მატჩს მოემსახურება, ხოლო **კირილე თვაური** ამავე ტურნირის შეხვედრას რუმინეთში, ორადეასა და მულგარულ რილსკის შორის იმსახურებს. ორივე მათგანს 27 ოქტომბერს კიდევ მოუწევთ ფიზიკური მატჩების მომსახურება, ხოლო **მიხეილ ვარტანოვი** საქმეში 26 ოქტომბერს ჩაებმება. მას ორივე მატჩის მსახურება ისრაელში – ქალაქებში კვარ ბლუმსა და რამლაში ელის.

მიხეილ ვარტანოვი (მსაჯი) ფიზიკური კომისარი თასი. კვარ ბლუმში (ისრაელი) შპოელი ვალიონი (ისრაელი) – ხემნიცი (გერმანია). ქალთა ვეროპის თასი. რამლა (ისრაელი) რამლა (ისრაელი) – შათაი (თურქეთი). **კირილე თვაური (მსაჯი)** ფიზიკური კომისარი თასი. ორადეა (რუმინეთი) ორადეა (რუმინეთი) – რილსკი (მულგარეთი) ქალთა ვეროპის თასი. აშდოდი (ისრაელი) მაკაბი აშდოდი (ისრაელი) – დიორი (უნგრეთი). **მერაბ რატიშვილი (კომისარი)** ფიზიკური კომისარი თასი. კვარ ბლუმში (ისრაელი) შპოელი ვალიონი (ისრაელი) – მამგრევი (გერმანია). ფიზიკური კომისარი თასი. გაზიანთეფი (თურქეთი) გაზიანთეფი (თურქეთი) – გუმენი (ავსტრია).

ქალი სასტვენით

ნილო ელოპილის ახალი გაგონება

ნილო ელოპილი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ 15-კაცა რაგბი იმსახრა, ახლა კი 15-ქალას თამაშზე მთავარი როფერი იქნება.



მოლო წლებში ქართველ ქალ არბიტრებს – ანა პოლოსიანს და ნინო ელოპილს რაგბი ვეროპა რეგულარულად იწვევდა 7-ქალა ტურნირების სამსახურად და მათ ფინალურ შეხვედრებშიც ანდობდა, რაგბი XV კი მათი განვითარების ახალი ეტაპია.

ელოპილი მსახურება 2009 წელს, მორაგბის კარიერის პარალელურად დაიწყო, საერთაშორისო ასპარეზზე კი 2019 წლიდან გავიდა და წელს 7-ქალას „ალფაის“ ორივე ეტაპზე მიიწვიეს. რაგბი ვეროპა მისი პერფორმანსით კმაყოფილი დარჩა და ახალმა მიწვევებზეც არ დააყოვნა.

15 ოქტომბერს, რაგბი ვეროპის სუპერ თასის მეოთხე ტურში „მრიუსელ დევილზმა“ ნიდერლანდების „დელტა“ 48:21 დაამარცხა. ამ თამაშის მთავარი მსაჯი სება აშულაშვილი იყო, ხოლო მას კიდევებიდან იოსებ ჯაფარიძე და ნინო

ელოპილი ეხმარებოდნენ. ქართველი ქალი მსაჯები, მინაურ ასპარეზზე 15-კაცა რაგბს რეგულარულად მსახურებენ, როგორც ცენტრში, ასევე კიდედან, თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე ეს პირველი გასვლა იყო.

განვლილი და მომავალი გამოცდილების შესახებ ელოპილი ამბობს: „**მოლო წლებში 15-კაცა საერთაშორისო რაგბში ქალი თამაშისთვის ტენდენცია შეიმჩნევა. ვფიქრობ, ეს გენდერული თანასწორობის მიზნებისთვის. რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ასეთ თამაშს წყურებდი და მაშინ გავიფიქრე – ნეტა მე თუ მექნება მიჭმთან ერთად კაცთა რაგბის მსახურების შესაძლებლობა? ჩემი**

თავი ამ ამბულაში წარმოვიდგინე და ოცნებაც ამხიდა – ვაგბი პირველი ქართველი ქალი მსაჯი, რომელმაც საერთაშორისო შეხვედრაში თანამსაჯად იმუშავა. დიდი მადლობა რაგბის კავშირს და ჩვენს მსახურებელ დევიდ მაქსელს ამ შესაძლებლობისთვის. მიხარია, რომ მიჭმს არ ჩამოვევარდები და ძალიან ბედნიერი ვარ საერთაშორისო ასპარეზზე ჩემს ქვეყანას რომ წარმოვარჩე.

რაც შეეხება 15-ქალას შეხვედრებზე დანიშნებას, ეს 7-ქალას ტურნირებზე მიღებული კარგი შეფასებების შედეგია. ეს დანიშნება ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. ბელგია და პორტუგალია თანაბარი დონის გუნდებია. მარშან პორტუგალიამ 10:8 მოიგო და ვფიქრობ ახლაც დაძაბული თამაში იქნება. 15-ქალას შეხვედრები 7-ქალასგან განსხვავებულია პასუხისმგებლობისთან ერთად, ერთგვარი გამოწვევაა. ბელგიაში დაინახავ რაგბი მომიწევს მუშაობა, რათა წინსვლა გავაგრძელო და უფრო მაღალი დონის დანიშნებები მივიღო“.

ნინო ელოპილს ამ დღეებში კიდევ ერთი დებიუტი ელის, თანაც მოედნის მსაჯის რანგში. ის მრიუსელში დარჩა და 22 ოქტომბერს, „ნელსონ მანდელას სტადიონზე“ ქალთა რაგბი ვეროპის „ალფაის“ ბელგიისა და პორტუგალიის შეხვედრას განსჯის.

პირობა

კვარასხელია სერია A-ს პრინსია

იშალილმა მოდელმა და ინფლუენსერმა პაოლა საულნიმ, რომელიც „ნაპოლის“ გულშემატკივარია, იტალიურ მედიასთან ხშირად კომენტარებს იწვავს. როგორც მან თქვა, ქართველი ფეხბურთელი მოხიბლულია და „ნაპოლი“ თუ სკუდეტოს მოიგებს, გულშემატკივრებისთვის რაღაცის გაკეთების პირობაც დადო. „როგორც ფეხბურთელზე, კვარასხელიაზე შეყვარებული ვარ, ჯორჯო ალმერტაის მაგონებს, რადგან როტულ რაღაცებს ძალიან მარტივად აკეთებს.“



„ნაპოლის“ ფეხბურთელებიდან ვისთან ვივარსებებ? კვარასხელიისთან, ის სერია A-ს პრინსია. წარმოუდგენელია, რომ დე ლაურენტისმა და ჯენტოლიმ მის ტრანსფერში ასე ცოტა გადაიხადეს.

კვირას „სტადიო თლიმპიკოზე“ წავალ, რათა „ნაპოლის“ თამაში ვნახო „რომანთან“. „ნაპოლიმ“ სკუდეტო რომ მოიგოს?


ძალიან ცრუმორწმუნე ვარ და ნაადრევია გამარჯვებაზე საუბარი, მაგრამ რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებ, რადგან სკუდეტო უნდა აღინიშნოს“, – თქვა საულინომ.

გვირავი მოუგა ბიორგი შოთაძე

სსრკ

კონსტანტინე კამკამიძე

94 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელი და ღვაწლმოსილი მამული შვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუსი, პროფესორი კონსტანტინე კამკამიძე.



ერთობ სასახელო ცხოვრების გზა განვლო ბატონმა კოტემ – დაუღალავი შრომისა და არჩეული პროფესიის უდიდესი ერთგულების ფასად მიაღწია თვალსაჩინო სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებას.

კონსტანტინე კამკამიძე დაიბადა 1928 წლის 12 თებერვალს თბილისში, ცნობილი ინჟინრის, ნიკოლოზ კამკამიძის ოჯახში. ბავშვობისა და სიჭაბუკის უმძიმესი წლების მიუხედავად, მან შეინარჩუნა მაღალი ადამიანური ღირებულებანი, ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლა და სწავლა მამის სპეციალობით განაგრძო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე სტუდენტობის წლებშივე შეუდგა სპეციალობით შრომით საქმიანობას, 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ჩითახევის ელექტროტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ – ელექტროსამკროს უფროსად. 1955 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟინერი „საქენერგოს“ ცენტრალურ ლაბორატორიაში გადაიყვანეს, სადაც სათავეში ჩაუდგა ელექტროტექნიკური დანადგარების გამოცდისა და გაშვების მეტად საპასუხისმგებლო უბანს.

1955 წლიდან საქმიანობა მან სამეცნიერო მოღვაწეობას დაუკავშირა – გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების პროცესების ავტომატიზაციის კათედრის ასპირანტი. კათედრას სათავეში ედგა საქართველოში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის ფუძემდებელი, პროფესორი ნიკოლოზ გაბაშვილი. სწორედ ამ თვალსაჩინო მეცნიერ-

ისა და პიროვნების გვერდით იღვანა, მასთან ერთად დაუდო საფუძველი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოში პირველ სასწავლო-სამეცნიერო კვლევით საპრობლემო ლაბორატორიას ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოები სრულდებოდა და, ამასთან, ყალიბდებოდა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერთა ავტორიტეტული სკოლა, რომელმაც შემდგომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წლების განმავლობაში იგი ამ ლაბორატორიის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მუშაობდა.

1965 წელს კოტე კამკამიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს – სადოქტორო. 1975 წელს მან ღირსეულად შეცვალა თავისი მასწავლებელი, პროფესორი ნიკოლოზ გაბაშვილი და სათავეში ჩაუდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ კო-

ტე კამკამიძის დამსახურება კათედრის სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

ფასდაუდებელია ბატონი კოტეს მოღვაწეობა საქართველოში ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შესრულდა ფუნდამენტური სამეცნიერო სამუშაოები მრავალპროცესორიანი გამოთვლითი სისტემების მოდელირებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით. აღსანიშნავია ქვეყნის ენერგოგაერთიანებაში მის მიერ დამუშავებული ახალი მრავალპროცესორიანი სისტემების დანერგვა.

თვალსაჩინოა კოტე კამკამიძის მიღწევები რთული სანარჩო პროცესების მართვისთვის ახალი პარალელური მოქმედების კომპიუტერების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევის საქმეშიც.

კოტე კამკამიძე 130-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 10 გამოგონების ავტორია. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა ინფორმატიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის დარგის სპეციალისტთა მრავალი თაობა. ბატონი კოტეს ხელმძღვანელობით შესრულებულია მნიშვნელოვანი კვლევები და დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში განუღმამა ღვაწლმა პროფესორ კოტეს კამკამიძეს დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა. იგი იყო საქართველოს საინჟინრო და ენერგეტიკული აკადემიების აკადემიკოსი, აგრეთვე, საერთაშორისო კომპიუტერული მეცნიერებისა და სისტემების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ბატონი კოტეს სახელი დიდხანს იცოცხლებს მეგობრების, ახლობლების, კოლეგების და მისი აღზრდილების გულეში.

უფალმა დაამკვიდროს ბატონი კოტეს უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლის აქტიური მონაწილე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბრიგადის მეთაური, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი

ელგუჯა (ბუთსუზ) თოსაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბათუმის ბულვარში დაჭრილი ახალგაზრდა კაცი ბერკლიძე

შეშინებულმა ბულვარის ცენტრალურ შესასვლელთან, ერთ-ერთ რესტორანში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, შენობაში მყოფს ცეცხლსასროლი იარაღიდან მანქანიდან ესროლეს. სროლის დროს ჩაიშხვრა მინები, დაშავდა კიდევ 2 ადამიანი.

„დავინახე, რომ მანქანიდან არ იყო სროლა. იყო კაცი წითლებში ჩაცმული და ჩაცხრილა რესტორნის მარცხენა მხარე. როგორც ვიცი, თურქი იყო. ჩვენს რესტორანთან ახლოს მანქანა ელოდებოდა, ჩაჯდა და გაიქცა. როგორც ვიცი, შიგნით ყველა ინფორმატორი, კონკრეტული პირისკენ იყო აშკარად მიმართული, რადგან რესტორნის მხოლოდ ერთ კუთხეში იყო გასროლა“, – ამბობენ ადგილობრივები.

შეგახსენებთ, რომ შემთხვევა ბულვარის შესასვლელთან ერთ-ერთ რესტორანში მოხდა. როგორც ადგილზე განაცხადეს, მანამდე რესტორანთან ხმაური იყო. მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში 4 პირი დააკავეს.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუხილავალი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხის-გაგაოდეის (ახერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის კმ27+840-კმ35+500 (საგარეჯოს შემოვლითი გზა) საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცევა მოქალაქე დავით ჯინჭარაძის (პ/ნ 01021003404) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ თოხლიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 1213 კვ. მეტრის (ს/კ 55.10.52.029), მასზე არსებული ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება). ასევე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ

მოქცევა მოქალაქე დავით ჯინჭარაძის (პ/ნ 01021003404) საკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ თოხლიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 3840 კვ. მეტრის ნაწილი - 630 კვ. მეტრი (ს/კ 55.10.52.031), მასზე არსებული ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსხვავებული ღირებულებების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადო-

ებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრებაო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 11 ოქტომბრის 1-1/434 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე მოქალაქე დავით ჯინჭარაძის (პ/ნ 01021003404) საკუთრებაში არსებული, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ თოხლიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 3840 კვ. მეტრის ნაწილი - 630 კვ. მეტრი (ს/კ 55.10.52.031), მასზე არსებული ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლო, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ვინ გახდება ლიტერატურული პრემია „ნაკადული“ მფლობელი?

თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით, საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“ მეორედ გამოცხადდა. პრემიაზე განაცხადების მიღება 20 ოქტომბრიდან დაიწყო.

პრემიის მიზანია, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ინტერესის გაზრდა. ასევე, საბავშვო წიგნებზე მომუშავე ავტორების წახალისება და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია.

პრემია განიცხადდება წლიურად ორჯერ:

- საუკეთესო პროზაული წიგნი;
- საუკეთესო პოეტური წიგნი;
- საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი;
- საუკეთესო საგანმანათლებლო-შემეცნებითი წიგნი.



საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“

განაცხადების მიმღება 20-26 ოქტომბერს

შერჩეული ხუთწევრიანი ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს გადაცემით პრიზი და 2500-ლარიანი პრემია. კონკურსში მონაწილეობის პირობები: პრემიაზე განიხილება 2021 წელს, საქართველოში გამოცემული ქართველი ავტორების წიგნები (საუკეთესო ილუსტრირებული წიგნის ნომინაციაში, შესაბამისად, ქართველი ილუსტრატორების ნამუშევრები).

პრემია „ნაკადული“, იუნესკოს პროექტ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მიერ ორგანიზებული თბილისის საბავშვო წიგნის ფესტივალის ფარგლებში, შარშან დაარსდა.

პრემიის სახელი ერთ-ერთ პირველ, ლეგენდარულ ქართულ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“ უკავშირდება, რომელიც 1904-1927 წლებში გამოცემოდა და მასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, შიო მღვიმელი, ლეო ქიჩელი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები.



ირანელმა სპორტსმენმა ჰიჯაბის ბარში იასპარეზა...

ირანელმა მეკლდურმა ქალმა, 33 წლის ელნაზ რეკაბმა სეულში ჰიჯაბის გარეშე იასპარეზა. მედიასაშუალებების ცნობით, საზღვარგარეთ დაფუძნებული ირანული ორგანიზაციები ახლა ქალის უსაფრთხოების გამო შიშობენ.

სპორტსმენი თეირანში 19 ოქტომბერს დაბრუნდა. მას აეროპორტში აპლოდისმენტებით და შეძახილებით – „ელნაზი გმირია“ დახვდნენ. შემდეგ კი ინსტიტუტში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ვიდეოში სპორტსმენმა ქალმა თქვა, რომ ჰიჯაბის გარეშე მისი ასპარეზობა შემთხვევითობა იყო.

„ელნაზ რეკაბი იძულებით არ უნდა დააბრუნონ ირანში. ის შესაძლოა, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდეს“, – აცხადებდნენ ორგანიზაციის წევრები.

ჭკვიანი ბეჭედი

Samsung-მა „ჭკვიანი ბეჭედი“ მუშაობა დაიწყო. ამის შესახებ სამხრეთკორეული მედია წერს. როგორც გამოცემას საკუთარმა წყარომ განუცხადა, ბეჭედი რეალურ დროში შეაგროვებს ინფორმაციას მომხმარებლის აქტიურობისა და ჯანმრთელობის მაჩვენებლების შესახებ. სპეციალისტების თქმით, „ჭკვიანი ბეჭედი“ პულსის, სატურაციისა და ვკა მაჩვენებლების შეგროვებას შეძლებს.

არსებული ინფორმაციით, Samsung-მა მოწყობილობა 2021 წლის ოქტომბერში დააპატენტა. „ჭკვიანი ბეჭედი“ ბაზარზე გამოსვლის ვადები ჯერჯერობით უცნობია.

20 ბოთლი პრაიმი ბერლუსკონს... კუთვნილობა

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრმა, სილივიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს კვლავ დაუკავშირდა, – ამის შესახებ Reuters-ი იტალიური მედიის მიერ გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერზე დაყრდნობით იუწყება.

„პუტინს ცოტა ხნის წინ დავუკავშირდი. დაბადების დღეზე მან 20 ბოთლი არაყი გამომიგზავნა. მე მას ვუპასუხე რამდენიმე ბოთლი ლამბრუსკოთი“, – განაცხადა ბერლუსკონიმ, რომლის დაბადების დღეც 29 სექტემბერს იყო. მისივე თქმით, ის უკიდურესად შეშფოთებულია უკრაინაში შექმნილი სიტუაციით, მაგრამ ვერ გამოთქვამს თავის ნამდვილ აზრს, რადგან „თუ ეს პრესაში მოხვდება, კატასტროფა იქნება“.



ბუკერის პრემიის ახალი ლაურეატი

2022 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატი შრი-ლანკელი მწერალი შეჰან კარუნატილაკა გახდა. პრესტიჟული ჯილდო მას რომანისთვის „მალაი ალმეიდის შვიდი მთვარე“ გადაეცა. წიგნი გარდაცვლილ სამხედრო ფოტოგრაფზეა, რომელიც სიკვდილის შემდეგ თავის საყვარელი ადამიანების მის მიერ გადაღებულ და დამალულ ფოტოებთან მიჰყავს, რომლებიც სამოქალაქო ომის სისასტიკეს ასახავენ.

ბუკერის პრემია ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა მსოფლიოში, ინგლისურენოვან ლიტერატურაში. ენიჭება ავტორს, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნების ან ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქეა, ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანისთვის.



სამსახურიდან რუსეთთან კავშირების ბაიბაისუფლად

ბერლინის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნენსი ფენერმა ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელი, არნე შიონზომი რუსეთთან მჭიდრო კავშირების შესახებ ბრალდებების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა.

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ მედიის კავშირების შესახებ ბრალდებებმა ფუნდამენტურად შეარყია საზოგადოების აუცილებელი ნდობა შიონზომის, როგორც გერმანიის კიბერუსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი სააგენტოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი ხელმძღვანელის მიმართ. ტელერადიო ZDF-ის გამოძიების თანახმად, არნე შიონზომი მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა ასოციაცია გერმანიის კიბერუსაფრთხოების საბჭოსთან რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყო რუსეთის სადაზვერვო სამსახურებთან.

გამოძიების ავტორებმა, კერძოდ, გაარკვიეს, რომ ბერლინში მდებარე კომპანია Protelion GmbH, რომელიც აღნიშნული ასოციაციის წევრია, მარტის ბოლომდე მუშაობდა სახელწოდებით Infotecs GmbH და იყო რუსული კომპანია InfoTeKS-ის შვილობილი კომპანია, რომელიც დააარსა „კგბ“-ს ყოფილი ოფიცერი, ანდრეი ჩაპჩაევმა.

ვიკიპედიაში სპეციალური ბაიბაირა

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, ცხოველებზე ზრუნვის სამსახურის თანამშრომლებმა, სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე ვირი იპოვეს.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, იქამდე, ცხოველი მიმდებარე ტერიტორიაზე დაეხეტებოდა და საავტომობილო გზაზე სიარულსაც არ ერიდებოდა. ცხოველებზე ზრუნვის სამსახურის ინფორმაციით, ვირის პატრონის პოვნა შეძლეს და ცხოველი უკან დააბრუნეს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
 შპს „საქართველოს რესპუბლიკა“ №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
 599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი“ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანადგომა“-ი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იზაძევა სტამბა
 „კოლორი“
 ე. პალაძევის №3

კოლორი
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323

2 009882 616932

ავტორთა სახურა დღევანდელ!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაზე დაიბეჭდება
 ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითა და პასუხის ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 ოქტომბერს

<p>ს</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p>	<p>უსსო-ს ვებ-გვერდი:</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p>	<p>ავტორთა სახურა დღევანდელ!</p> <p>რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითა და პასუხის ავტორები.</p>
	<p>სსსპ-ის ვებ-გვერდი:</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p> <p>სსსპ-ის ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p>	<p>ავტორთა სახურა დღევანდელ!</p> <p>რედაქციის მიერ შეუქმნათვი მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხვითა და პასუხის ავტორები.</p>